ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2469221

ნომერი: AR1379632

თარიღი : 18.02.2016

გაცემის თარიღი : 14.03.2016

გაცნობის თარიღი : 14.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა კიკალეიშვილი პ/ნ 01009014841
- ი. ჭავჭავაძის გამზ. N37ლ

ორგანიზაცია:

- შპს "იბერკომპანი" კოდი: 211358181

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

2016 წლის 18 თებერვლის №AR1379632 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: #81.08.17.679, #2005650 (10.07.2015) ბრძანებით შეთანხმებულ მიწის ნაკვეთის საშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ტერიტორია მდებარეობს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის №104 განკარგულებაში მითითებულ საავტომობილო მაგისტრალზე, სადაც საპროექტო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დადგენილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებულია გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვის გაცემა. ვინაიდან, "საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია- მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის N104 განკარგულებაში შეტანილი ცვლილების შესახებ (დამატებული 12 პუნქტი) 2015 წლის 20 მარტის N606 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია- მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია, გზის ღერძიდან 100-მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება და გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვის გაცემა", სამსახურმა №AR1379632 (18.02.2016) განაცხადის საფუძველზე საკითხი გადააგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში განსახილველად, მათი გადაწყვეტილების თანახმად მერიის კეთილმოწყობის სამსახური ამ ეტაპზე წინააღმდეგია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით #81.08.17.679 სამშენებლო განვითარებისთვის გაიცეს ნებართვა. გამომდინარე აქედან სამსახური აღნიშნული შეზღუდვის მოხსნამდე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ვერ განახორციელებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.